## ქულაბა ბარათი

ეს არის ლოიალურობის ბარათი, რომელიც წარმოადგენს მასზე ქულების დაგროვების, მათი გამოყენების, ფასდაკლებების, სპეციალური შეთავაზებებისა და სხვა დამატებითი ბენეფიტების მიღების შესაძლებლობას.

## ბარათის ტიპები:

- მყარი ბარათი
- ელექტრონული ბარათი (გადმოწერეთ iOS ან Android აპლიკაცია თქვენს მობილურში)

## რეგისტრაცია:

პროგრამაში გაწევრიანებისთვის საჭიროა რეგისტრაციის გავლა:

- მობილური აპლიკაციით;
- „2 ნაბიჯის“ ნებისმიერ მაღაზიათა ქსელში გაწევრიანების მოთხოვნის ფურცლის შევსებით;
- www.orinabiji.ge საიტზე რეგისტრაციით.

## ქულების დაგროვება

| განსხვავებული პროდუქტების რაოდენობა 1 ჩეკში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დარიცხული ქულები | 0 | 4 | 9 | 12 | 15 | 18 | 21 |

- რაც მეტი განსხვავებული პროდუქტია ერთ ჩეკში, მით მეტი ქულა გროვდება ქულაბა ბარათზე;
- დაგროვების დასაწყებად საჭიროა, ჩეკში შედიოდეს მინიმუმ 2 პროდუქტი;
- ქულების დარიცხვა მოხდება ყოველი შენაძენის შემდეგ.

## ჯილდოს მიღება

- მხოლოდ 1000 ქულის დაგროვების შემთხვევაში, დაგენერირდება ჯილდო. 1000 ქულა=1 ჯილდო
- საჩუქრის მისაღებად აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქულაბა ბარათის (ელექტრონული ან მყარი ფორმით) წარდგენა.

## დამატებითი ინფორმაცია

► ერთი უნიკალური მომხმარებლის ელექტრონული და მყარი ბარათის ერთ ანგარიშზე მისაბმელად, აპლიკაციაში მოძებნეთ მყარი ბარათი ⟶ ბარათის დამატება ⟶ შეიყვანეთ მყარ ბარათზე მითითებული კოდი. ამ ოპერაციის დასრულების შემდეგ, ყოველი ყიდვისას, სალაროსთან გაატარეთ ერთ-ერთი ბარათი: მყარი ან ელექტრონული.

► თუ მომხმარებელს არ ახსოვს ან თან არ აქვს მყარი ბარათი და არც აპლიკაცია აქვს გადმოწერილი, მას შეუძლია, მოლარეს უკარნახოს მობილურის ან ID ბარათის ნომერი და ისე დააგროვოს ქულები. ქულების დაგროვება არ ხდება ერთჯერადი პარკის, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის შეძენის შემთხვევაში.

#COOLაბარა #უCOOLესიბარათი

## ბარათით სარგებლობის წესები და პირობები

ვიდრე ისარგებლებთ „2 ნაბიჯის“ ლოიალურობის პროგრამით,
გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ სარგებლობის წესებს,
რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - www.orinabiji.ge

•ლოიალურობის პროგრამის მონაწილედ რეგისტრაციის საფუძველზე მომხმარებელი გამოთქვამს სურვილს და აცხადებს თანხმობას, ისარგებლოს ლოიალურობის პროგრამით და დაიცვას სარგებლობის წესები, მასში დროდადრო კომპანიის მიერ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. წესები, ნებისმიერ დროს, ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით (www.orinabiji.ge).

•ლოიალურობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, მომხმარებელი კომპანიას აწვდის თავის პირად მონაცემებს, რა დროსაც ადასტურებს მათ სიზუსტეს და აცხადებს თანხმობას, რომ კომპანიამ, ლოიალურობის პროგრამით განსაზღვრული მიზნებით, მოახდინოს მათი დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სარეგისტრაციო ფორმაში მისათითებელი პირადი მონაცემების კომპანიისთვის გადაცემა პროგრამაში მომხმარებლის მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

•მომხმარებელი უფლებამოსილია, კომპანიისგან, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე, მოითხოვოს აღნიშნული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან/და განადგურება.

•მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს ლოიალურობის პროგრამაში მონაწილეობის შეწყვეტა, შპს „ორი ნაბიჯის“ სავაჭრო ობიექტში განცხადების შევსების ან/და ლოიალურობის სისტემაში რეგისტრირებული თავისი ელფოსტის მეშვეობით ელფოსტაზე - qulaba@orinabiji.ge შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის გზით.

•ქულაბა ბარათით ბოლო სარგებლობიდან 12 თვის გასვლის შემთხვევაში, ლოიალურობის პროგრამაში მომხმარებლის მონაწილეობა წყდება და აღნიშნული დროისთვის მის მიერ დაგროვებული ქულები უქმდება.

ქულების შესახებ ინფორმაცია მომხმარებელმა შეიძლება მიიღოს:

- „2 ნაბიჯის“ ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში;
- ვებგვერდზე - www.orinabiji.ge ან მობილური აპლიკაციის გამოყენებით.

1000 (ქულა) = ჯილდო

ლოიალურობის პროგრამაში „ქულაბა ბარათით“ სარგებლობის დეტალური წესები იხილეთ ვებგვერდზე www.orinabiji.ge.

2nabijiofficial

www.2nabiji.ge

191816517069

# რეგისტრაციის ფორმა

სახელი: გვარი:

დაბადების თარიღი: რიცხვი / თვე / წელი

პირადი ნომერი:

ტელ.:

ელ-ფოსტა:

ფაქტობრივი მისამართი:

ვეთანხმები ბარათის გამოყენების წესებს და პირობებს

ხელმოწერა: